

THE VILLAGE OF AVNEVI IN THE FRON VALLEY IN GEORGIAN- TURKISH
HISTORICAL AND ETHNOGRAPHIC MATERIALS

ფრონის ხეობის სოფელი ავნევი ქართულ-თურქულ
ისტორიულ დოკუმენტებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში

MARIAM KOBERIDZE

Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com ,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract.

The scientific work analyzes the historical past of the village of Avnevi in the Fron Gorge in relation to modernity, life, etymology, toponymy, migration processes, monuments of material culture, folktales, shrines and beliefs. The research is based on Georgian-Turkish historical documents, archaeological data, ethnographic and press materials. The materials we have found are also presented.

The village is located in the Shida Kartli Plain, on the left bank of the Fron River. The Tiliana River (←Mtiliana) crosses the village in the middle and joins the Fron River in the village. The village is located between the Mimino Khevi, Kito Agharti, Zekeda, Dry Seri, Dry Ferda and Gora Seri. The village is currently occupied.

The name Avnevi comes from the word "Navnevi", which means "they inflicted pain, they hurt". Navnevi→Navnevi→Avnevi. The n was lost at the beginning of the word; the b was replaced by v at the end of the word.

Archaeological materials found in Avnevi show that the technique of making metal tools and jewelry was also quite developed. Craftsmen made artistically decorated bronze and silver jewelry. The grave inventories clearly reflect the branches of agriculture. A bronze buckle depicting a hunting scene and belonging to the 1st-2nd centuries AD is noteworthy.

The village shrines are: the Virgin Mary, St. George, Ivan the Evangelist, the seat of the idol. The Church of the Virgin Mary has a low dome in the shape of a cross. Near the southern doors, a man is carved with a cross and a leafy branch in his hand. The tradition of depicting hands on monuments of material culture is characteristic of medieval feudal Georgia. The hand symbolized strength, strength and authority. St. George was considered the strongest shrine of the village. The population celebrated a religious holiday here - Goraoba.

In the center of the village, a fortress-wall and a three-story turreted tower have been preserved. During the Leki period, the population took refuge in the fortress-wall.

The owners of Avnevi were the Palavandishvilis, Machabelis, Amerijibes and Abashidzes. The nobleman Dogladze had an estate in Avnevi.

The Ruisi Book of 1715 describes the following surnames living in the village of Avnevi: Macharadze, Nadiradze, Omanidze, Sazandari, Medinadze, Maisuradze, Begiashvili, Suliashvili, Datuashvili, Bregvadze, Sikturashvili, Kozmanashvili, Kokhajeli, Chkherelashvili, Berikashvili,

Mondobilashvili, Khosiashvili, Bezhashvili, Bathkhadze. Of these surnames, the following remain in the village today: Macharadze, Maisuradze, Sikturashvili.

Vakhushti and Ioane Bagrationi do not indicate the ethnic composition of the population when describing the Froni Gorge, which means that the majority of the population of the mentioned gorge was of Georgian origin in the 18th century. This is also confirmed by the following settlements on the Dvani-Tskal and in the valleys of its tributaries: Bekmari, Sagolasheni, Aradeti, Tsveri, Breti, Dirbi, Dvani, Toliberi, Avnevi, Arkneti, Tsunari, Erkeneti, Tormaneuli, Bekmari, Ghvedreti, Nuli, Mavda, Tsorbisi, Uria, Kornisi, Rustavi, which were royal, ecclesiastical, noble and aristocratic villages.

The 1728 “Big Book of Tbilisi Province” provides us with interesting information about the demographic and economic situation and onomastics of the population of the village of Avnevi. In the production of toponyms and anthroponyms, no affixes characteristic of other linguistic groups are observed.

Georgian villages are characterized by division into districts. The village of Avnevi was also divided into districts: Tsikhis district, Kvirikaant district, Sadzagliant district, Maranaant district. The Tsikhis district was inhabited by the Tsikhis, Davitadzes, and Otaradzes.

Keywords: Froni Gorge, Avnevi, Georgian-Turkish descriptions, shrines, migration processes, population, life.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი.

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია ფრონის ხეობის სოფელ ავნევის ისტორიული წარსული თანამედროვეობასთან მიმართებაში, ყოფა-ცხოვრება, ეტიმოლოგია, ტოპონიმია, მიგრაციული პროცესები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხური გადმოცემები, სალოცავები და რწმენა-წარმოდგენები. კვლევა ემყარება ქართულ-თურქულ ისტორიულ დოკუმენტებს, არქეოლოგიურ მონაცემებს, ეთნოგრაფიულ და პრესის მასალებს. წარმოდგენილია ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიც.

სოფლის განლაგების ადგილია შიდა ქართლის ვაკე, მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირი. სოფელს შუაზე მდინარე ტილიანა (←მტილიანა) ჰკვეთს და სოფელშივე უერთდება მდინარე ფრონეს. სოფლის ტერიტორია მდებარეობს მიმინოს ხევის, ქიტო აღმართის, ზეცედას, მშრალი სერის, მშრალ ფერდასა და გორას სერებს შორის. სოფელი ამჟამად ოკუპირებულია.

სახელწოდება ავნევი მომდინარეობს სიტყვისაგან „ნავნები“, რაც ნიშნავს „ვნება მიაყენეს, დააზარალეს“. ნავნები→ნავნევი→ავნევი. სიტყვის თავში დაიკარგა ნ; სიტყვის ბოლოს ბ-ს ჩაენაცვლა ვ.

ავნევი მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ ლითონის იარაღებისა და სამკაულების დამზადების ტექნიკაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ხელოსნები აკეთებდნენ მხატვრულად გაფორმებულ ბრინჯაოს და ვერცხლის სამკაულებს. საფლავების ინვენტარებში მკვეთრად არის ასახული მეურნეობის დარგები. აღსანიშნავია ბრინჯაოს ბალთა, რომელზედაც გამოსახულია ნადირობის სცენა და მიეკუთვნება ახ. წ. I-II სს.

სოფლის სალოცავები: ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი, ივანე მახარობელი, კერპის საყდარი. ღვთისმშობლის ეკლესიას აქვს ჯვრის ფორმის დაბალი გუმბათი. სამხრეთ კარებთან ამოკვეთილია მამაკაცი ხელში ჯვრითა და ფოთლოვანი ტოტით. მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხელის გამოსახულების ტრადიცია შუა საუკუნეების ფეოდალური საქართველოსათვის არის დამახასიათებელი. ხელი ძალის, სიმტკიცისა და უფლების სიმბოლოს გამოხატავდა. სოფლის ძლიერ სალოცავად ითვლებოდა წმინდა გიორგი. მოსახლეობა აქ იხდიდა რელიგიურ დღესასწაულს-გორაობას.

სოფლის ცენტრში შემორჩენილია ციხე - გალავანი და სამსართულიანი სათოფურებიანი კოშკი. ლეკიანობის დროს მოსახლეობა ციხე-გალავანში იხიზნებოდა.

ავნევის მფლობელები იყვნენ ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, ამირეჯიბები და აბაშიძეები. ავნევი მამული ჰქონდა აზნაურ დოღლაძეს.

1715 წლის რუისის დავთარში აღწერილია სოფელ ავნევი მოსახლე გვარები: მაჭარაძე, ნადირაძე, ომანიძე, საზანდარი, მედინაძე, მაისურაძე, ბეგიაშვილი, სულიაშვილი, დათუაშვილი, ბრეგვაძე, სიქთურაშვილი, კოზმანაშვილი, კოხაჯელი, ჩხერელაშვილი, ბერიკაშვილი, მონდობილაშვილი, ხოსიაშვილი, ბეჟაშვილი, ბათხაძე. ამ გვარებიდან სოფელში დღეს დარჩენილია: მაჭარაძე, მაისურაძე, სიქთურაშვილი.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ფრონის ხეობის აღწერისას არ უთითებენ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული ხეობის მოსახლეობის უმეტესობა XVIII საუკუნეში ქართული წარმომავლობისა იყო. ამასვე ადასტურებს დვანის-წყალზე და მისი შენაკადების ხეობებში შემდეგი დასახლებული პუნქტები: ბეყმარი, სადოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბერი, ავნევი, არკნეთი, წუნარი, ერკნეთი, თორმანელი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია, ყორნისი, რუსთავი, რომლებიც სამეფო, საეკლესიო, სათავადო და სააზნაურო სოფლებს წარმოადგენდნენ.

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ გვაწვდის საყურადღებო ცნობებს სოფელ ავნევის მოსახლეობის დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობისა და ონომასტიკის შესახებ. ტოპონიმებისა და ანთროპონიმების წარმოებაში არ შეინიშნება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი აფიქსები.

საქართველოს სოფლებისათვის დამახასიათებელია უზნებად დაყოფა. სოფელი ავნევიც იყოფოდა უზნებად: ციხის უბანი, კვირიკაანთ უბანი, სამაგლიანთ უბანი, მარანაანთ უბანი. ციხის უბანში ცხოვრობდნენ ჭილაძეები, დავითაძეები, ოთარაძე....

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, ავნევი, ქართულ-თურქული აღწერები, სალოცავები, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობა, ყოფა-ცხოვრება.

შესავალი

ავნევის განლაგების ადგილია შიდა ქართლის ვაკე, მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირი, ზღვის დონიდან 820 მეტრი, ყორნისიდან დაშორებულია 8 კილომეტრით. სოფელს შუა წელზე მდინარე ტილიანა (←მტილიანა) ჰკვეთს და სოფელშივე უერთდება მდინარე ფრონეს. სოფლის ტერიტორია მდებარეობს მიმინოს ხევის, ქიტო აღმართის, ზექედას, მშრალის სერის, მშრალ ფერდასა და გორას სერებს შორის. სოფელი ამჟამად ოკუპირებულია. ავნევის ადმინისტრაციული ცენტრი (სოფლები: ავნევი, ძვილეთი) შედის თიღვის მუნიციპალიტეტში ახალშენის, თიღვის, ოქონას, ლოპანისა და ნულის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ჩასახლება: ქარელი, გორი, ხაშური, სურამი, თბილისი, რუსთავი, მცხეთა, მარნეული, თეთრიწყარო; სოფლები-წინამძღვრიანთკარი, საგურამო, წილკანი, წეროვანი, კოდა.

სოფელ ავნევის ისტორიული განვითარების გზა, მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, ყოფის, ტრადიციების, სარწმუნოებრივი და კულტურული მოვლენების ამსახველი ისტორიული დოკუმენტებისა და ეთნოგრაფიული მასალების თავმოყრა და მთიანობაში განხილვა თანამედროვეობასთან მიმართებაში შესწავლას გულისხმობს (გაზეთი „ივერია“, 1884; თაყაიშვილი, 1907; ბაგრატიონი, 1941, თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009; მაკალათია, 1963, გოგოლაძე, 1968; გვასალია, 1989; სოსიაშვილი, 2004; ალიმბარაშვილი, 2021).

საკითხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა ხელს შეუწყობს ფრონის ხეობის, როგორც საქართველოს ისტორიული ნაწილის, იდენტობის სრულყოფილ გააზრებას, ტრადიციებისა და კულტურული თვითმყოფადობის გაცოცხლებასა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას. მასალების დოკუმენტირება მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის.

მეთოდი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კომპლექსური მეთოდები: აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ინდუქცია, დედუქცია, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი. ავნევის შესახებ ისტორიული დოკუმენტების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შედარება-შეპირისპირებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

შედეგები. სამეცნიერო ნაშრომში შესწავლილია ფრონის ხეობის სოფელ ავნევის ისტორიული წარსული თანამედროვეობასთან მიმართებაში, ყოფა-ცხოვრება, ეტიმოლოგია, ტოპონიმია, მიგრაციული პროცესები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხური გადმოცემები, სალოცავები და რწმენა-წარმოდგენები; გაანალიზებულია ქართულ-თურქული ისტორიული დოკუმენტები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. საანალიზოდ გამოყენებულია ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიც. არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ ავნევი ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა, ლითონის იარაღებისა და სამკაულების დამზადების ტექნიკაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა. აღსანიშნავია ბრინჯაოს ბალთა, რომელზედაც გამოსახულია ნადირობის სცენა და მიეკუთვნება ახ. წ. I-II სს. კვლევამ აჩვენა, რომ სოფლის გავრცელების ადგილი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ, ისე ეთნოკულტურულ პროცესებში. ავნევი ფრონის ხეობის ერთ-ერთ სტრატეგიულ წერტილზე მდებარეობს, რაც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფუნქციებს; ეთნოგრაფიულ მასალებში გამოვლინდა სოფლის ყოფითი კულტურის არქაული ელემენტები და ეროვნული იდენტობის მახასიათებლები. მოსახლეობა ინარჩუნებს ტრადიციული ქართულ ოჯახის,

მიწათმოქმედებისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების წესს; ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ ონომასტიკურ მასალებში არ შეინიშნება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ნორმები და წარმოების საშუალებები.

დისკუსია.

სოფელ ავნევს ჩრდილო-დასავლეთიდან ნული ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთიდან - სოფელი წუნარი; ¹ აღმოსავლეთის მხრიდან მას სოფელი დიდმუხა ემიჯნება; რაც შეეხება მის სამხრეთ საზღვარს, იგი მდინარე ფრონით და ქიტო აღმართის სერით არის შემოფარგლული. ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ჩამოუდის ცხინვალ-ზნაურის² შარა გზა, აღმოსავლეთის მხრიდან კი მუგუთ-დიდმუხის გზა, გარდა ამისა, იგი სასოფლო გზით დასავლეთით უკავშირდება ფრინევს.

ვახუშტის აღწერით: „რუისის დასავლეთით არს დვანის წყალი, ესე გამოდის თირის მონასტრიდან წარსულ მთას, დის... სამხრით ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ ... აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდან ნულის ხევი ... ამ ხევის ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდან ყორნისის ხევი ... ყორნის ზეით, წორბისს ერთვის ამ წყალს ხტანის ხევი“ (ბაგრატიონი 1941:79).

დვანის გზა პერანგაზე³ აღნიშნულია ხუთვარსკვლავიან რუკაზეც: ბრეთი-დვანი-ავნევი-ერკნეთი-წორბისი-ყორნისი-პერანგა-დარკა-ჩიხი (გვასალია 1989: 4).

ყორნისის ხეობის ჩრდილოეთით მთებზე გადადიოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელი გზები, რომლებმაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში. ერთი გზა გადადიოდა ძალიანავე გავლით. ამ გზას შვილდაურის გზას ეძახდნენ. ეს გზა გადადის იმერეთის სოფელ ურუნაზე⁴ და ჩონთოში ძირულას ხეობაში ჩადის. მეორე გზა გადადიოდა წორბისიდან გომართის ეკლესიით. მიდოდა სერ-სერ, გადადიოდა პატარა ლიხონაზედ⁵, გაივლიდა მოტიტვლებულ მთას პერანგაზე და ჩადიოდა ჭალაში აბაშიძიანთ სოფელში (გაზეთი „საქართველო“, 1916: 2).

სოფელ ავნევის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობდა სხვა დასახლებულ პუნქტებთან და ბაზრებთან მის დაკავშირებას. ავნევზე გადიოდა: ავნე-ცხინვალის საურმე გზა; ავნე - აგარის გზა. ეს გზა მდინარე ფრონის დინებას გასდევდა. პირველად ამ გზით სოფელ დიდმუხას გაივლიდნენ (2 კმ.), შემდეგ - მუგუთს, დვანს, ტახტისძირს, დირბს, ბრეთს, წვერს და სოფელ საღოლაშენში უერთდებოდა თბილისი - ქუთაისის მაგისტრალურ გზას. საურმე-სამარხილო გზა ჩრდილო დასავლეთით სოფელ ნულს უკავშირდებოდა. აქედან ყორნისზე გავლით გომართა-ლიხონის მთებზე გადადიოდა იმერეთში. მანძილს ავნევიდან იმერეთამდე ერთ დღეში ფარავდნენ. სოფელი სამხრეთ-

¹ ამ სოფელს ისტორიული სახელი შეეცვალა და უწოდეს ხეთაგუროვი.

² დასახლების ძველი სახელია ოქონა. ზნაური ეწოდა 1933 ოსი რევოლუციონერის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ზნაურ აიდაროვის პატივსაცემად.

³ პერანგა - ლიხის მთაზე ერთ-ერთი უღელტეხილი (საჩხერის მუნიციპალიტეტი).

⁴ ურუნა-სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში.

⁵ ლიხონი- ლიხის ქედზე პატარა გადასასვლელი.

დასავლეთით უკავშირდებოდა სოფელ ფრინევს, საიდანაც პირდაპირი გზა სოფელ ქვათეთრზე და მოხისზე გავლით გომში ჩადიოდა.

ავნევის სახელწოდებას უკავშირებენ ავნიანობას. ავნეველები ავი ენისანები ყოფილანო და ამ სოფელსაც ამის გამო ავნევი დარქმევიაო. ავნევი ხალხური განმარტებით, ნიშნავს მედგარს, გამბედავს. ავნეველები ყოფილან მაგარი ენისანი და მტერსაც მაგარი სიტყვებით ხვდებოდნენო (მაკალათია, 1963:80).

ჩვენი აზრით, სახელწოდება ავნევი მომდინარეობს სიტყვისაგან „ნავნები“, რაც ნიშნავს „ვნება მიაყენეს, დააზარალეს“. ნავნები→ნავნევი→ავნევი. სიტყვის თავში დაიკარგა ნ; სიტყვის ბოლოს ბ-ს ჩაენაცვლა ვ (კობერიძე, 2009: 281).

ავნევეში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ ლითონის იარაღებისა და სამკაულების დამზადების ტექნიკაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ხელოსნები აკეთებდნენ მხატვრულად გაფორმებულ ბრინჯაოს და ვერცხლის სამკაულებს. საფლავების ინვენტარებში მკვეთრად არის ასახული მეურნეობის დარგები. აღსანიშნავია ბრინჯაოს ბალთა, რომელზედაც გამოსახულია ნადირობის სცენა და მიეკუთვნება ახ. წ. I-II სს. (გოგალაძე, 1968:9).

ფრონის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად ავნევი შედიოდა რუისის საეპისკოპოსოში. 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარის“ მიხედვით ავნევეში სახლობს 33 კომლი. გადასახადი ადევთ შემდეგ გვარებს:

- ქ. მაჭარაძე შიო;
- ქ. მაჭარაძე ციხელი;
- ქ. მაჭარაძე გიორგი;
- ქ. ნადირ(ა)ძე პაპუნა;
- ქ. ომანიძე სეხნია;
- ქ. მეზვრე ბიძინა;
- ქ. საზანდარი დათუნა;
- ქ. მეზვრე ზუბია;
- ქ. მეზვრე დათუნა;
- ქ. მედინაძე სეხნია;
- ქ. მაისურაძე სეხნია;
- ქ. ბეგიაშვილი მღვდელი ნიკოლოზ;
- ქ. ბეგიაშვილი დათუნა;
- ქ. სულიაშვილი ხოსია;
- ქ. დათუაშვილი დათუნა;
- ქ. ბრეგვაძე გიორგი;

- ქ. სალარიძე ივანე;
- ქ. სიქთურაშვილი ლაზარე;
- ქ. სიქთურაშვილი მღვდელი ნიკოლოზ;
- ქ. კოზმანაშვილი ოთარი;
- ქ. კოხაჯელი თედორა;
- ქ. კოზმანაშვილი ბერი;
- ქ. კოხაჯელი ბერი;
- ქ. ჩხერელაშვილი პაპუნა;
- ქ. ბერიკაშვილი ქიტია;
- ქ. მონდობილაშვილი პაატა;
- ქ. მონდობილაშვილი დათუნა;
- ქ. ხოსიაშვილი ბერი;
- ქ. ბეჟაშვილი ივანე;
- ქ. სულიაშვილი თამაზა; ყუზაშვილი ბერი;
- ქ. ზუმბულიძე მღვდელი შიო;
- ქ. სიქთურაშვილი გიორგი;
- ქ. ბათხაძე გურგენა.

ბოგანო იხდის ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს დრამას იღებენ; ამათი სახუცო აბაზი ათი (თაყაიშვილი, 1907: 34-35).

ვახუშტი და იოანე ბტონიშვილების აღწერაში დვანის-წყალზე და მისი შენაკადების ხეობებში შემდეგი დასახლებული პუნქტები მდებარეობდა (მათ შორის ავნევიც): ბეყმარი, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბერი (ტოლიბური), ავნევი, არკნეთი (არკნები), წუნარი, ერკნეთი (ესკენეთი), თორმანეული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია (აჰური), ყორნისი, რუსთავი, რომლებიც სამეფო, საეკლესიო, სათავადო და სააზნაურო სოფლებს წარმოადგენდნენ (ბაგრატიონი, 1941:79-81; ბაგრატიონი, 1986: 42).

მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები არ უთითებენ, რაც ნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში დვანისწყლის ხეობის (მათ შორის ყორნისის) მოსახლეობა ძირითადად ქართული წარმომავლობის იყო (ტყავაშვილი, 2014: 40-41).

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მთავრობის განკარგულების თანახმად შედგენილია 1728 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი თურქი მოხელეების (დევეთარდარების) მიერ. ნაჰიების (რაიონების) მიხედვით მოცემული სოფლების სიას თანდართული აქვს

სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ისე, როგორც სხვა ოსმალურ დოკუმენტებში.

თბილისის ვილაიეთში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. გორის ლივაში შედიოდა საციციანოს, პეტრეს, ამილახვრის, შავი არაგვისა და შანშეს, მუხრანის, თრიალეთის და გუჯარეთის ადმინისტრაციული ერთეულები, გორის ციხე (რაბათი). აღნიშნული თურქული დოკუმენტი მნიშვნელოვანია ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესწავლისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა დიდი და პატარა პუნქტების სახელწოდებები, სოფლები და ნასოფლარები.

ფრონის ხეობა ექვემდებარებოდა ამილახვარს. დოკუმენტში დასახლებულია დვანის ფრონის 16 სოფელი (მათ შორის ავნევიც): საღვალაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლეთუბანი, ავნევი, წუნარი, თურმანელი, ბეყმარი, ნული, მალდა, წურბისი, ყორნისი, არკნეთი.

დოკუმენტში დასტურდება ავნევიცში მოსახლე 48 კომლი: ლაზარა ძე კოჩინასი; ბათა ძე მისი; გიორგი ძე მისი; შიო ძე გიორგისა; ნიკოლოზ ძე დათუნასი; თედორე ძე ბერუკასი; ბერი ძე მისი; გიორგი ძე კობიასი; ოთარ ძე ბეგიასი; ბაჩუა ძე მისი; სეხნია ძე მისი; თედორე ძე ბირასი; ნასყიდა ძე შოშიტასი; დათუნა ძე მისი; სეხნია ძე მისი; გიორგი ძე მისი; თამაზა ძე ავაზასი; სეხნია ძე ესტატესი; შიო ძე მისი; შიო ძე გიორგისა; დათუნა ძე მისი; ბერი ძე მისი; ბერი ძე ივანესი; დუნია ძე ბერუკასი; თედორე ძე მისი; ივანე ძე შიოსი; ბერი ძე მამუკასი; სულხანი ძე ნასყიდასი; დათუნა ძე ასუბადისა; ჩუბინა ძე ბერისა; ბერი ძე დათუნასი; ნიკოლოზ ძე ოთარისა, ალექსან ძე გარსევანისა; დიმიტრი ძე გელიკასი; სეხნია ძე ბათასი; აკრაბან ძე თამაზისი, დათუნ ძე დათუნასა; თამაზა ძე დათუნისა; დათუნა ძე მამისიმედისა; ბაჯილ ძე ბათასი; თამაზა ძე მისი; გოდერძა ძე ბაბუნასი; მახარა ძე მისი; ხოსია ძე მისი; სეხნია ძე დათუნასი; ივანე ძე ბერისა; მიქელ ძე ივანესი; გიორგი ძე ნასყიდასი; შიო ძე დათუნასი (თბილისი ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 280-341).

აქ წარმოდგენილი პიროვნული სახელების ანთროპონიმული სურათი ძირითადად ორწევრიანია: სახელი+ მამის სახელი: სეხნია ძე დათუნასი; სახელი+ძმა: შიო ძე მისი; სახელი+ ძე (მისი): ბერი ძე მისი...

რუისის სამწყოს დავთარში პიროვნების სახელები ძირითადად ორწევრიანია: გვარი+ სახელი: მაჭარაძე შიო. ზოგჯერ გვხვდება სამწევრიანიც: გვარი+ საეკლესიო წოდება+ სახელი: სიქეთრაშვილი მღვდელი ნიკოლოზ.

როგორც ცნობილია, ფრონის ხეობა შედიოდა მე-16 საუკუნიდან ზემო ქართლის სადროშოში, რომლის მედროშენი ანუ სარდლები ამილახვარები იყვნენ. სადროშოს ცენტრი იყო ქალაქი გორი. ზემო ქართლის სადროშოს ტერიტორიაზე განლაგებული იყო დიდი მნიშვნელობის სიმაგრეები, როგორიცაა: ყორნისისა და წურბისის კოშკები, ავნევის ციხე, ნულის ციხე და სხვა. ამ ციხე-სიმაგრეებს თავდაცვისათვის ჰქონდათ სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ დაზიანებისთანავე ხდებოდა მათი აღდგენა (ზაქარაია, 1958: 119).

XVI -XVII საუკუნეში საქართველოში ძლიერდება თურქ-ოსმალთა და სპარსელთა პოლიტიკური ბატონობა, რასაც მოჰყვა ლეკებისა და ქისტ-ჩაჩნების გამანადგურებელი თარეში. ამისათვის საჭირო იყო ციხეების, ციხე-გალავნის, მაგარი კოშკების აგება თავდაცვისათვის. XVI საუკუნეში კაჟიანი თოფების შემოღებამ კოშკის სართულების კედლებში სათოფურების გაჩენა განაპირობა. ამ მხრივ, საყურადღებოა ავნევის ციხე-გალავანი, რომელიც რიყის ქვით არის ნაგები, მას საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს და მდებარეობს სოფლის დასავლეთ ნაწილში, მდინარის პირას (გოგალაძე, 1968: 13).

ავნევის ციხე-გალავანს ოთხივე კუთხეში გვერდით სამსართულიანის (თუმცა ნაწილობრივ დაზიანებული) სათოფურებიანი კოშკი უდგას. ჩანს, რომ გალავნის კედლებზე მიშენებული ყოფილა საცხოვრებელი ბინებიც ბუხრითა და სარკმელებით. ციხე-გალავანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვისათვის. შიშიანობის დროს მთელი სოფელი ციხე-გალავანში იხიზნებოდა. ასეთივე ციხე - გალავანი არის ცხინვალში მდინარე ლიახვის პირას. მისი მთავარი ნაწილი დანგრეულია, მხოლოდ ერთი კედელი და რამდენიმე კოშკი აქვს შემორჩენილი (ცოტნიაშვილი, 1986: 35). ავნევის ციხე-გალავანს უკანასკნელად ფლობდა აბაშიძე (გვასალია 1989: 11-13).

ისტორიულად ფრონის ხეობის მფლობელები იყვნენ ფალავანდიშვილები, ამირეჯიბები, ხერხეულიძეები, ბაგრატიონები, მაჩაბლები და აბაშიძეები. მოგვიანებით ამ ხეობაში ჩნდებიან მუხრან ბატონის ყმებიც. ფრონის ხეობა განაწილებული ჰქონდათ: ზეგან ნაწილს ფლობდნენ ფალავანდიშვილები, დაბლობს კი - ამირეჯიბები. ფალავანდიშვილების რეზიდენცია იყო ძალინაში, სადაც დღემდე შემონახულია მათი ნასახლარი, კოშკითა და სასახლის ნანგრევებით.

მტილიანასა და მის მიდამოებს თავდაპირველად მაჩაბლები ფლობდნენ. მთელი მოსახლეობა ადგილ-მამულიანად მაჩაბლებს ემორჩილებოდა, ხოლო დაახლოებით XX საუკუნის დასწყისამდე ახესალომ მაჩაბელმა მ. აბაშიძეს ქალი მიათხოვა და მთელი სოფელი მზითვად მისცა. ამის შემდეგ მთელი სოფელი აბაშიძეს ემსახურებოდა (გოგალაძე, 1968: 11).

გარდა ამისა, აქ საეკლესიო მამულებიც იყო. ვახუშტი აღნიშნავს: „წუნარის ხევს ზევით არს ეკლესია ერკნეთს, დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“ (ბაგრატიონი 1941: 79). მაგალითად, არკნეთის მამულებს საეკლესიო ფეოდალები ფლობდნენ, რომლებიც მამულიდან მოსავლის მეექვსედს იღებდნენ.

ფალავანდიშვილებთან სამამულო დავა ჰქონდათ მაჩაბლებს, რომელთა საფეოდალო სამაჩაბლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ფრონეს ხეობას მოიცავდა. მაჩაბლებს ხშირად ხელი მიუწვდებოდათ ფალავანდიშვილების სამფლობელოში მცხოვრებ ყმა-გლეხებზე. ამაზე მეტყველებს 1780 წელს შედგენილი „განჩინება მაჩაბლებისა და ფალავანდიშვილების ყმების საქმეზე“. ამ განჩინებაში ნაჩვენებია, რომ ფეშანგი ფალავანდიშვილის შვილიშვილები ბერი და იაკობი უჩიოდნენ იესე, გოგია და ბარძიმ მაჩაბლების შვილებს. დავა შეეხებოდა ავნევი მცხოვრები ყმა-გლეხების დათუა, გოგია დ რვთისია სიხტურაშვილების საქმეს. მაჩაბელთა მტკიცებით, ავნევი ყმები მათი წინაპრების ფეშანგი ფალავანდიშვილისაგან ნასყიდობის სახით გადაეცათ, მაგრამ რაკი მათ სასამართლო პროცესზე სათანადო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს, დავა ფალავანდიშვილების სასარგებლოდ გადაწყდა (სოსიაშვილი 2004: 92-93).

გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ავნევიში ცხოვრობდა 34 კომლი გლეხი, რომლებიც ეკუთვნოდნენ იაკობ ფალავანდიშვილს - 2 კომლი, 22 სული; დიმიტრი ქართველს - 1 კომლი, 10 სული; შანშე ერისთავს - 15 კომლი, 69 სული; მის აზნაურს - 3 კომლი, 21 სული; იასე მაჩაბელს - 7 კომლი, 37 სული; ივანე ამილახვარს - 2 კომლი, 15 სული; აზნაურ გლაზა გელდიაშვილს - 1 კომლი, 14 სული, საკუთარი მიწა 15 დღიური; შიო მღვიმის მონასტერს - 1 კომლი, 6 სული; სახაზინო აზნაურს - ოქრომჭედლიშვილს - 1 კომლი, 4 სული; იმერელ აზნაურს - 1 კომლი, 5 სული. ამავე აღწერის მიხედვით ავნევი ტყე აქვთ დიდი რაოდენობით; ბაღ-ვენახების რაოდენობა

შეადგენს 19-ს, საიდანაც წლიურად მოჰყავთ 260 კოკა ღვინო. სხვა შემოსავალი არა აქვთ. გლეხები მისდევნენ მიწათმოქმედებას, მაგრამ მოჰყავთ მხოლოდ იმდენი, რასაც თვითონ მოიხმარენ. ღალა შეადგენს 6 კოდ პურს, ასევე წელიწადში ოთხჯერ სხვა წვრილმან გადასახადებს (ალიმბარაშვილი, 2021: 87-88).

1884 წელს სოფრომ მაგლობლიშვილის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში აღწერილია მაჩაბლების კონფლიქტი ვინმე დოღლაძესთან წყლის გამო. „ავნევის ხეობაზე მდგარა ერთი მძლავრი აზნაურიშვილი დოღლაძე. ამას ჰქონია მამითადი სალთვისის მინდორში. დოღლაძეები იმდენად ძლიერი აზნაურები ყოფილან, რომ თავს დასხმიან მაჩაბლებს საბაწმინდაში და დაუმარცხებიათ კიდეც“ (მაგლობლიშვილი, 1884: 1-2).

1921 წლამდე ავნევი შედიოდა წუნარის თემში, შემდეგ დვანთან ერთად შეუერთდა დირბის თემს. 1921-1930 წლებში დირბის თემი შედიოდა გორის მაზრის რუისის რაიონში (ცინცაძე, 2012: 114-115).

სოფლის სალოცავებია: ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი, ივანე მახარობელი, კერპის საყდარი. ღვთისმშობლის ეკლესია აქვს ჯვრის ფორმის დაბალი გუმბათი. სამხრეთ კარებთან ამოკვეთილია მამაკაცი ხელში ჯვრითა და ფოთლოვანი ტოტით.

მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხელის გამოსახულების ტრადიცია შუა საუკუნეების ფეოდალური საქართველოსათვის არის დამახასიათებელი. მისი გავრცელების არეებია: ქართლი, კახეთი, თიულეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი ... ხელი ძალის, სიმტკიცისა და უფლების სიმბოლოს გამოხატავდა (ბერძენიშვილი, 1966: 135; ითონიშვილი, 1965: 180).

ეკლესია შეუკეთებიათ ს. მარანელს და დ. ჭილაძეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (გოგალაძე, 1968: 12).

ავნევის ეკლესია ი. მეგრელიძის აღწერით, ჯვრის ფორმისაა (10X8 მ), სიმაღლე 5 მეტრამდე, მის დასავლეთ და სამხრეთ კედლებში ჩუქურთმიანი ქვებია ჩაშენებული, წარწერები არ ჩანს (მეგრელიძე, 1997: 76).

ავნევის ღვთისმშობლის ეკლესიაში მორწმუნენი მიდიოდნენ როგორც ახლო, ასევე შორი სოფლებიდან სალოცავად და ღამის სათევად. მიუხედავად იმისა, რომ ავნევის საყდარ-სალოცავები თითქმის დანგრეული იყო, მათ მლოცველები მაინც ეტანებოდნენ. ასეთი სალოცავებია წმინდა გიორგი, რომელიც ავნევის ჩრდილო აღმოსავლეთითაა მაღალ გორაზე; ივანე მახარობელი, რომელიც მდინარის პირას ციხის გვერდითაა; კერპის საყდარი, სადაც ლოცულობდნენ ბოროტი სულების წინააღმდეგ. ამ სალოცავებს შორის ყველაზე ძლიერ სალოცავად ითვლებოდა წმინდა გიორგი. აქ იმართებოდა დღეობა-გორაობა.

წმინდა გიორგის ევედრებოდნენ მუხლმოდრეკილი ლოცვით წველას ძროხის გაშრობის შემთხვევებში. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ზვარას შეუთქვამდნენ და დაკლავდნენ გორაობის დღესასწაულზე.

ავნევაში სიძველეთაგან აღსანიშნავია ჯვრის ფორმის, დაბალგუმბათიანი ეკლესია. ეკლესია მიუხედავად მისი არქაული ფორმისა არ უნდა იყოს ძალიან ძველი. ამაზე მიუთითებს ფასადებზე შესრულებული რელიეფები.

სოფელში რამდენიმე ნიშია: წმ. გიორგის, შიოს ნიში, ივანე მახარობლის ნიში და კერპის საყდარი, ყვავის საყდარი, რომლის ნასახლარებში აღმოჩნდა ქვევრები და წითელი ფერის კერამიკა.

ავნევის საფლავის ქვაზე წარწერაა: „მომიხსენე უფალო (.), ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე ნაგდან (.) დავით გვარამაძის მეუღლე და ასული სოლომონ ერგემლიძისა. ამავე ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ დავით ზაქიას ზე გვარამაძე (.) აღვსრულდი 1878 წ. 24 იანვარსსს (.) მაგდანი აღსრულდა 1906 წ. 20 დეკემბერს“ (მეგრელიძე, 1997: 76).

ეს წარწერა გვაფიქრებინებს, რომ დავით ზაქიას ძე გვარამაძე ავნევაში მოსახლე ყოფილა.

ეკლესიებისა და ნიშ-სალოცავების ნანგრევების სიმრავლე მოწმობს, რომ ძველად ავნევი დიდი სოფელი ყოფილა. ლეკიანობისაგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამოწყვეტილა, ნაწილი აყრილა და სხვაგან დასახლებულა. ეს პროცესი სოფელ ავნევის ეტიმოლოგიაშია ასახული: ნავენევი „დაზარალებული, ვნება მიყენებული“.

გვართა მიგრაცია საქართველოში ნოციერი მიწების ათვისებით და ნაწილობრივ მათ ყოფილ მემამულეთა ძალმომრეობისაგან თავის დახსნით იყო გამოწვეული. გლეხთა აყრა მამაპაპური მიწებიდან და სხვაგან გადასახლება ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელ პროცესს წარმოადგენდა. ხიზნობას მემემულეები ებრძოდნენ და მისი სრული ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. ხიზანთა ვალდებულება-გადასახადები კატეგორიების მიხედვით დგინდებოდა, იყო ხიზანთა შემდეგი კატეგორიები: ლიტრის ხიზანი, სამი ჩარექის ხიზანი, ნახევარი ლიტრის ხიზანი, ჩარექის ხიზანი, რომელთა გადახდა სხვადასხვა ოდენობით განისაზღვრებოდა (ანთელავა & გუგუჩია, 1967: 129- 181).

რუისის სამწყსოს დავთარში დადასტურებული გვარებიდან სოფელში დარჩენილა გვარები - მაჭარაშვილი, სიქთურაშვილი და ბეგიაშვილი. აქ ადგილობრივ შემორჩენილი მოსახლეობის შემდეგ პირველად დასახლებულან მაჭარაძეები და მკირვალიძეები, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულან. ისინი ჯერ ავნევის ჩრდილო - აღმოსავლეთით 1-2 კმ დაშორებით ყვავის საყდარაზე დასახლებულან, ხოლო ორი ათეული წლის შემდეგ ავნევის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულან. მოსახლეობის ინფორმაციით, მდინარე ლიახვიდან ყვავისსაყდარამდე სოფელ კეხვის მიწებზე გამოვლით სასმელი და სარწყავი წყალი ყოფილა გამოყვანილი. წყალზე დავა ჰქონდათ კეხველებსა და ყვავისსაყდარელებს. ამის გამო სხვაგან დასახლებაზე უზრუნიათ. მათგან ზოგი ავნევაში ჩამოსულა, ნაწილი კი სხვაგან წასულა საცხოვრებლად.

ავნევაში სოფელ მარანადან⁶ ჩამოსულა საცხოვრებლად მარანელების გვარი. მარანელები გვარად ჟივჯივაძეები ყოფილან. ძმები ნინია და თითია სოფელ მარანადან ბატონს გამოქცევინ და ავნევაში დასახლებულან, რის შემდეგ თავისი ძველი სოფლის სახელწოდება - მარანა გვარად აუღიათ. სოფელ გელათიდან (ტყიბულის რაიონიდან) გადმოსახლებულან გელაშვილები; მოლითიდან (ორჯონიკიძის რაიონი)⁷ და დიდი ჯიხაშიდან (სამტრედიის რაიონი) - ჭილაძეები; ლომისხევიდან (ლენინგორის რაიონი) - კაცელაშვილები და დურგლიშვილები; წორბისიდან (ზნაურის რაიონი) - სამაგლიშვილები.

⁶ ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტი.

⁷ ახლანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

სამაგლიშვილები ადრე ყოფილან ჯოხაძეები. იმის გამო, რომ ერთ-ერთი ბატონის დაუკითხავად ჩუმად დაქორწილებულა, ბატონს რომ გაუგია მისთვის სამაგლის შვილი შეურქმევია. ამის შემდეგ ის და მისი შთამომავლები გვარად სამაგლიშვილებს ატარებს (დათა მიხეილის ძე სამაგლიშვილი, დაბად. 1878 წ. სოფ. ავნევი) (გოგალაძე, 1968: 45).

ავნევეში გადმოსახლებულებს კავშირი არ გაუწყვეტიათ სალოცავებთან: კაცელაშვილები და დურგლიშვილები დადიოდნენ ლომისის წმინდა გიორგის სალოცავში ლომისობას (ივლისში), სამაგლიშვილები კი დადიოდნენ წორბისში - გომართის წმინდა გიორგის სალოცავში გომართობას (3 ივნისს). აქ ლოცულობდნენ, კლავდნენ შეწირულობას და ღამეს ათევდნენ.

სოფელი თანდათან განახლდა, პატარა სოფელი დიდ სოფლად იქცა, და ცალკე უბნებად დაიყო: ციხის უბანი, კვირიკაანთ უბანი, სამაგლიანთ უბანი, მარანაანთ უბანი. ციხის უბანში ცხოვრობდნენ ჭილაძეები, მარანელები, დავითაძეები, ოთარაძე.. წყალდიდობის შიშით ციხის უბნიდან მარანელები ცალკე გადასახლებულან და ამ უბანსაც მარანაანთ უბნის სახელი მიუღია. დროთა განმავლობაში უბანში სხვა გვარის წარმომადგენლებიც დასახლდნენ, მაგრამ უბანს მაინც ძველი სახელწოდება შერჩა.

ნიკო მარი უბანს უკავშირებს ქართულ უ-ბარ-ს. სოფლების უბნებად დაყოფა დამახასიათებელი იყო არა მარტო ფრონის ხეობის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც. მაგალითად: თუშური სანჯამო, სვანური ლანყავ, ლაზური ოღირღალი, ხევსურული სა-ფეხ-ნ-ო, რაჭული სა-ნახშ-ო (ხარაძე, ზრობაქიძე, 1965: 8-9).

ალ. ღლონტი XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით ჩამოთვლის ავნევეში მოსახლე გვარებს: ბეკოევი, გაბარაევი, გასიევი, გეგელაშვილი, გელაშვილი, გიუნაშვილი, გობეჯიშვილი, გულიევი, დავითიძე, დურგლიშვილი, თედეევი, თუთარაშვილი, კაბისოვი, კაპანაძე, კაცელაშვილი, კვინიკაძე, კოჩიევი, კულუმბეგოვი, ლაღიაშვილი, მაისაშვილი, მაისურაძე, მარანელი, მარგიევი, მეტრეველი, მღებრიშვილი, ნინიკური, სანაკოევი, სამაგლიშვილი, ტაბატაძე, ფუხაევი, ქიმაძე, ქოქოევი, ქოქოზაშვილი, ჩიხლაძე, ცხოვრებოვი, ხალაძე, ჯავახიშვილი, ჯიუევი... (ღლონტი, 1988: 35). გვართა აღნიშნულ ჩამონათვალში გვხვდება უზუსტობა: მოსახლე გვარია ჭილაძე (არა ჩიხლაძე); გამორჩენილია გვარი სიქთურაშვილი.

ავნევის მოსახლეობა ეწეოდა ძირითადად მიწათმოქმედებას, მეხილეობას, მევენახეობას, მემცენარეობას და მებოსტნეობას. სოფელში თავდაპირველად სახნავად სახლის წინ არსებული მიწები გამოიყენებოდა, მაგრამ შემდეგ მოსახლეობამ ახოების⁸ ათვისება დაიწყო. გაჩნდა ტოპონიმები: მაღალი ახოები, ნაფუძრები, ჭალების მიწები, წმინდა შიოს, ზეკოდა, ხარაბულა, გადასახედა, ზექედა, სანულეს მიჯნები, სართუმელა, ყვავსაყდარა, ხოდა და პანტიანი.

სახნავ-სათესი მიწები ცალკეულ ოჯახებს ეკუთვნოდა. გადასახედას სახნავი დურგლიშვილებისა და ჭილაძეებისა იყო. დურგლიშვილებს ეკუთვნოდაც ზექედაც, მარანელებს - მაღლა ახოები, სამაგლიშვილებს და კაცელაშვილებს ზექედა და სანულეს სახნავ-სათესი მიწები. გ. ჭილაძის ოჯახს სართუმელაზე, გადასახედასა და ყვავსაყდარაზე ჰქონდა მამული. შალიკო სამაგლიშვილის ოჯახს ეკავა პანტიანის (3 დესეტინა), კვრინჩხიანის (4 დესეტინა), ხოდას (3 დესეტინა), ზექედას (2.5 დესეტინა), ჭეჭელას (2

⁸ ტყის გაჩეხვის შედეგად საყანე ადგილი.

დესეტინა) სახნავ-სათესი მამული. მთელი ეს მიწები სოფლის გარშემო იყო განლაგებული და უშუალოდ სოფელს ემიჯნებოდა (გოგალაძე, 1968: 47).

საველე-ეთნოგრაფიული მასალები მიგვითითებს, რომ ქართული სოფლის დამახასიათებელი მოვლენა იყო სოფლის გარშემო სახნავ-სათესი სავარგულების არსებობა. მთიულეთში სახნავს, სათიბს, სამოვრებს, ბაღ-ბოსტანს კარის მამულს უწოდებენ, ხოლო დასახლების ადგილიდან საკმაო მანძილით დაშორებულ მამულს - მთის მამულს (ხარაძე, & რობაქიძე, 1965: 48).

ავნევეს ჰქონდა სამოვრები: ლაბითაურის, ჭალების, ხარებაულას, ყვავსაყდარას, ხოხოტების, სახერხაულების სახელწოდებით.

სოფლიდან ტყეები სახნავ-სათიბ მამულზე შედარებით უფრო მოშორებითაა. ტყეების სახელწოდებებია: თუთაველების ტყე, კაცელაანთ ტყე, კაკოს ტყე, ბერი ტყე და სხვა.

ავნევეში ვენახის გაშენება, მოვლა-პატრონობა და ღვინის დაყენება მამაპაპური წესებით წარმოებდა. ვენახს მეტწილად სახლთან ახლოს ნაკვეთში აშენებდნენ. სავენახე მამულის შერჩევის დროს ითვალისწინებდნენ მის ადგილმდებარეობას და ნიადაგის ავკარგიანობას. სავენახედ ვაკე ადგილს ამჯობინებდნენ, იმიტომ, რომ ასეთ ადგილზე წვიმის წყალი ჩერდებოდა. ფერდობზე კი ნიადაგი ირეცხებოდა და ამის გამო ნიადაგიც უვარგისი ხდებოდა. ვაზს ორგვარი წესით აშენებდნენ. პირველი წესის მიხედვით ლერწს (რქას) ბარით ორჯერ გადააბრუნებულ ნიადაგში ჩაარჭობდნენ; მეორე წესით კი ცალკე დაფესვიანებულს დარგავდნენ. ოთხ წლამდე ვენახს ახალშენს უწოდებდნენ, ოთხი წლის შემდეგ - გამართულს.

ვაზის ჯიშებიდან ცნობილი იყო: ბუდეშური, მუხამწვანე, შავკაპიტო, ხარისთვალა, ჩინური მწვანე, თხლათა ღრუბელა, დირბულა, ადესა, აბისულა და სხვა.

ამრიგად, სოფელ ავნევის ისტორიული განვითარების გზა, მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ყოფა, ტრადიციები, სარწმუნოებრივი და კულტურული მოვლენების ამსახველი დოკუმენტები და ეთნოგრაფიული მასალები წარმოაჩენს ფრონის ხეობის, როგორც საქართველოს ისტორიული ნაწილის იდენტობასა და მნიშვნელობას.

ავნევი მდებარეობს დვანის ფრონის მარცხენა ნაპირას, შიდა ქართლის ვაკეზე. სოფელი ოკუპირებულია. სახელწოდება ნაწარმოებია სიტყვისაგან „ნავნები“, რაც ნიშნავს „ვენება მიაყენეს, დაზარებულია“ (ნავნები → ნავნევი → ავნევი).

არქეოლოგიური მასალები ადასტურებს ლითონის იარაღებისა და სამკაულების დამზადების ტექნიკის განვითარებას. აქ აღმოჩენილი ახ. წ. I-II საუკუნის ბრინჯაოს ბალთა მიუთითებს უძველესი დასახლების ფაქტზე. ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული გვარსახელები გვაფიქრებინებს, რომ XVIII საუკუნეში ფრონის ხეობის სოფლების მოსახლეობა (მათ შორის ავნევიც) ქართული წარმომავლობისა იყო. ავნევის მფლობელები იყვნენ ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, ამირეჯიბები, აბაშიძეები, ერისთავი. ავნევეში მამული ჰქონდა აზნაურ დოღლაძეს.

ავნევის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვან სტრატეგიას ქმნიდა თავდაცვისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. ავნევეზე გადიოდა ავნე-ცხინვალის გზა; ავნე-აგარის გზა, რომელიც დიდმუხის გავლით სადოლაშენში უერთდება თბილისი-ქუთაისის მაგისტრალურ გზას. საურმე-სამარხილო გზა ჩრდილო დასავლეთით სოფელ ნულთან დასაკავშირებლად. აქედან ყორნისზე გავლით გადადიოდა იმერეთში. სამხრეთ-

დასავლეთით ფრინევთან დამაკავშირებელი გზა, საიდანაც ქვათეთრზე და მოხისზე გავლით გომში ჩადიოდა.

1715 წლის რუსის დავთარში დასტურდება სოფელ ავნევეში მოსახლე გვარები: მაჭარაძე, ნადირაძე, ომანიძე, საზანდარი, მედინაძე, მაისურაძე, ბეგიაშვილი, სულიაშვილი, დათუაშვილი, ბრეგვაძე, სიქთურაშვილი, კოზმანაშვილი, კოხაჯელი, ჩხერელაშვილი, ბერიკაშვილი, მონდობილაშვილი, ხოსიაშვილი, ბეჟაშვილი, ბათხაძე. ამ გვარებიდან სოფელში დღეს დარჩენილია: მაჭარაძე, მაისურაძე, სიქთურაშვილი.

ფრონის ხეობის ოკუპაციამდე ავნევეში სახლობდნენ გვარები: ბეკოევი, გაბარაევი, გასიევი, გეგელაშვილი, გელაშვილი, გიუნაშვილი, გობეჯიშვილი, გულიევი, დავითიძე, დურგლიშვილი, თედეევი, თუთარაშვილი, კაბისოვი, კაპანაძე, კაცელაშვილი, კვინიკაძე, კოჩიევი, კულუმბეგოვი, ლალიაშვილი, მაისაშვილი, მაისურაძე, მარანელი, მარგიევი, მეტრეველი, მღებრიშვილი, ნინიკური, სანაკოევი, ოთარაძე, სამაგლიშვილი, სიქთურაშვილი. ტაბატაძე, ფუხაევი, ქიმაძე, ქოქოევი, ქოქოზაშვილი, ჭილაძე, ცხოვრებოვი, ხალაძე, ჯავახიშვილი, ჯიუევი...

გვარსახელებთან დაკავშირებულია საქართველოსთვის დამახასიათებელი უზნებად დაყოფის ტრადიცია: ციხის უბანი, კვირიკაანთ უბანი, სამაგლიანთ უბანი, მარანაანთ უბანი. ციხის უბანში ცხოვრობდნენ ჭილაძეები, დავითაძეები, ოთარაძე.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულია ტოპონიმები: მაღალი ახოები, ნაფუძრები, ჭალების მიწები, წმინდა შიოს, ზეკოდა, ხარაბულა, გადასახედა, ზექედა, სანულეს მიჯნები, სართუმელა, ყვავსაყდარა, ხოდა და პანტიანი.

ისტორიულ დოკუმენტებში გამოვლენილ ონომასტიკურ მასალებში- ტოპონიმებსა და ანთროპონიმებში არ დასტურდება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ნორმები და მაწარმოებელი აფიქსები.

ეთნოგრაფიულ მასალებში გამოვლენილი სოფლის ყოფითი კულტურა გამოირჩევა არქაული ელემენტების, ტრადიციული ცხოვრებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით*. თბილისი: გამომცემლობა „გორის უნივერსიტეტი“.
- ანთელავა, ი. ზგუჭუა, ვ. (1967). *საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი.
- ბაგრატიონი, ვ. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (საქართველოს გეოგრაფია)*. თბილისი.
- ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედომვილმა*. თბილისი.
- ბერძენიშვილი, ნ. (1966). მიწათმოქმედებლობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში „ხელი“. *საქართველოს ისტორიის საკითხები. III.*, 135.

გაზეთი „ივერია“. (1884). IV.

გაზეთი „საქართველო“. (1916). 19 ივლისი, # 159, 2.

გვასალია, ჯ. (1989). ფრონის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, VII., 11-13.

გოგალაძე, ვ. (1968). *სოფელი ავნევი*. ცხინვალი: გამომცემლობა „ირისტონ“.

ზაქარია, პ. (1958). სამილახვროსა და ზემო ქართლის სადროშეს XVI-XVIII სს. ციხე-სიმაგრეები. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*. ტ. 20. #1, 119.

თაყაიშვილი, ე. (1907). 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი. *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები*. წიგნი. I. ტფილისი.

თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი. (2009). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და გამოკვლევითა გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ. თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (1965). სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში. *მაცნე*. #6, 180.

კობერიძე, მ. (2009). ტოპონიმების წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართულში. *სსიპ გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, 281.

მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა*. 14: თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მეგრელიძე, ი. (1997). *სიძველეები ლიახვის ხეობაში*. პატარა ლიახვის, ფრონის, ფაქასა და ჯეჯგორის ხეობები. წიგნი მეორე. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო ფორტე“.

მგალობლიშვილი, ს. (1884). ორი თვე სოფლად. *გაზეთი „ივერია“*. 16 ივლისი. # 155, pp. 1-2.

სოსიაშვილი, გ. (2004). *ქართლის საფეოდალოების ისტორიიდან. სამაჩაბლო (XV-XIX)*. თბილისი.

ტყავაშვილი, მ. (2014). სოფელი ყორნისის ისტორიიდან (XIX საუკუნის 40-იანი წლები). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები* (2 (15), 40-41.

ღლონტი. (1988). *ფრონეების ხეობების ტოპონიმია*. თბილისი.

ცინცაძე, ზ. (2012). *ენციკლოპედია „საქართველო“*. ტ. 2. თბილისი.

ცოტნიაშვილი, მ. (1985). *ცხინვალის ისტორიისათვის*. ცხინვალი.

ხარაძე, რ. & რობაქიძე, ლ. (1965). *მთიულეთის სოფელი ძველად*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

References

alimbarashvili, i. (2021). *shida kartlis (goris mazris) mosakhleoba XIX sauk'unis p'irvel otsts'leulshi rusuli k'ameraluri aghts'erebis mikhedvit* [The population of Shida Kartli (Gori region) in the first decade of the 19th century according to Russian census records]. tbilisi: gamomtsemloba „goris universit'et'i".

antelava, i. & guchua, v. (1967). *sakartveloshi sotsialuri urtiertobis ist'oriidan* [From the history of social relations in Georgia]. tbilisi.

bagrat'ioni, v. (1941). *aghts'era sameposa sakartvelosa (sakartvelos geograpia)* [Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia)]. tbilisi.

bagrat'ioni, i. (1986). *kartl-k'akhetis aghts'era* [Description of Kartli-Kakheti]. t'ekst'i gamosatsemad moamzades, gamok'vleva da sadzieblebi daurtis tina enukidzem da guram bedoshvilma. tbilisi.

- berdenishvili, n. (1966). mits'atmplobelobis pormeabisatvis peodalur sakartveloshi „kheli“ [“Hand” for forms of land ownership in feudal Georgia]. *sakartvelos ist'oriis sak'itkhebi* [Issues of Georgian history]. III., 135.
- gazeti „iveria“ [Newspaper „Iveria“]. (1884). IV.
- gazeti „sakartvelo“ [Newspaper „Georgia“]. (1916). 19 ivlisi, # 159, 2.
- gvasalia, j. (1989). pronis kheobis ist'oriuli geograpiis sak'itkhebi [Issues of historical geography of the Fron Valley]. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli* [Collection of Historical Geography of Georgia]. VII. tbilisi: „metsniereba“.
- gogaladze, v. (1968). sopeli avnevi [The village of Avnevi]. tskhinvali: gamomtsemloba „iriston“.
- zakaria, p'. (1958). saamilakhvrosa da zemo kartlis sadroshes XVI-XVIII ss. tsikhe-simagreebi [Fortresses of the 16th-18th centuries of the Saamilakhvro and Zemo Kartli provinces]. *sakartvelos sss metsnierebata ak'ademiis moambe* [Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR]. t'. 20. #1, 119.
- taqaishvili. e. (1907). 1715 ts'lis ruisis samts'qsos davtari [The Ruisi herd register of 1715]. *arkeologiuri mogzaurobani da shenishvnebi* [Archaeological Travels and Notes]. ts'igni I. t'pilis
- tbilisis vilaietis 1728 ts'lis didi davtari [The Detailed Register of Tbilisi Province, 1728]. (2009). turkuli t'ekst'i kartuli targmanit, shesavit da gamok'vlevita gamosatsemad moamzades ak'ademik'osma sergi jikiam da p'ropesorma nodar shengeli. tbilisi.
- itonishvili, v. (1965). sakhlis msheneblobis khalkhuri ts'esebi khevshi [Folk rules for building a house in a ravine]. *matsne* [Messenger]. #6, 180.
- k'oberidze, mariam. 2009. t'op'onimebis ts'armoebisatvis prones kheobis kartlurshi [For the production of toponyms in the Georgian dialect of the Prone Valley]. *goris sakhelmts'ipo universit'et'is meore saertashoriso sametsniero k'onperentsiis masalebi* [Proceedings of the Second International Scientific Conference of Gori State University]. 281. gori.
- mak'alatia, s. 1963. *pronis kheoba* [Fron Valley]. tbilisi.
- megrelidze, i. (1997). *sidzveleebi liakhvis kheobashi. p'at'ara liakhvis, pronis, pats'asa da jejoris kheobebi. ts'igni meore* [Antiquities in the Liakhvi Gorge. The valleys of Patara Liakhvi, Fron, Patsa and Jejori]. tbilisi: gamomtsemloba „samshoblo port'e“.
- mgaloblishvili, s. (1884). ori tve soplad [Two months in the countryside]. gazeti „droeba“ [“Time“]. 16 ivlisi. # 155. 1-2.
- sosiashvili, g. (2004). kartlis sapeodalobis ist'oriidan. *samachablo (XV-XIX)* [From the history of the feudal lords of Kartli. Samachablo (XV-XIX)]. tbilisi.
- t'qavashvili, m. (2014). sopeli qornisis ist'oriidan (XIX sauk'unis 40-iani ts'lebi) [From the history of the village of Kornisi (1940s)]. akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi [New and recent history issues]/2 (15), 40-41.
- ghlont'i, a. (1988). proneebis kheobebis t'op'onimia [Toponymy of the Phronei valleys]. tbilisi.
- tsintsadze, z. (2012). entsik'op'edia „sakartvelo“ [Encyclopedia „Georgia“]. t'. 2. tbilisi.
- tsot'niashvili, m. (1985). *tskhinvalis ist'oriisatvis* [For the history of Tskhinvali]. tskhinvali.
- kharadze, r. & robakidze, l. (1965). *mtiuletis sopeli dzvelad* [Mtiuleti village in ancient times]. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.